პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მებრძოლი

ფასი 3 კაპ.

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ, 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

133 (1128) | ოთხშაბათი, 7 ივლისი 1926 წ. | 133 (1128)

## ემზადე სოფლად მუშაობისათვის

შემოდგომა შორს არ არის. რა ხდება მაშინ? წითელ არმიელების უვადოთ შვებულებაში წასვლა.

ესგარემოება არცერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს იმ წითელ არმიელმა, რომელიც რამოდენიმე თვის შემდეგ წავა წითელ ჯარიდან.

დემობილიზაციის მოახლოების გამო შვებული—წითელ არმიელის წინაშე დგება ორი მთავარი ამოცანა.

პირველი ის, რომ მან გაორკეცებული ენერგიით უნდა განაგრძოს სამხედრო პოლიტიკური სწავლება.

მას მუდამ ის უნდა ქონდეს სახეში, რომ წითელ ჯარიდან რაც შეიძლება კარგად მომზადებული წავიდეს სამხედრო საქმეში.

უკანასკნელ დღემდე წითელ ყაზარმაში „ყოფნის“ წითელი მებრძოლი უნდა იყოს დისციპლინიანობისა, რევოლიუციონური წესრიგის და თავდადებული სწავლების საუკეთესო მაგალითი.

მეორე ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ შვებული წითელ არმიელი აქედანვე უნდა შეუდგეს სოფელში მუშაობისათვის მზადებას.

სოფელს ის უნდა დაუბრუნდეს როგორც მოწინავე ელემენტი, რომელიც ახალი ენერგიით და ცოდნით ჩაებმება ახალი სოციალისტური სოფლის აღმშენებლობაში.

მზადების დროს შვებული წითელ არმიელმა უნდა გაითვალისწინოს მომავალი მუშაობის პირობების მთელი სირთულე.

მან უნდა იცოდეს, რომ სოფელში მუშაობა არც ისე ადვილია. საჭიროა დიდი ენერგია, თაოსნობა, მოთმინება, გეგმიანობა მუშაობაში. პირველ ყოვლისა კი საჭიროა საკმაო ცოდნა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხებში.

წითელ არმიელი შვებული უნდა გაეცნოს კარგად პარტიის უკანასკნელ ყრილობის დადგენილებებს, კოოპერაციის მნიშვნელობას და მის ამოცანებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების წესს, ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის საქმეს და სხვა.

ყველა ეს საკითხები მან კარგად უნდა დაამუშაოს და საფუძვლიანად გაეცნოს მათ.

მხოლოდ სათანადო ცოდნით და ენერგიით შეიარაღებული ის შესძლებს ნაყოფიერ მუშაობას სოფლად.

აქ ერთი გაფრთხილება უნდა მიეცეს შვებულ წითელ არმიელს.

არავითარ შემთხვევაში სოფლად მუშაობისათვის მზადებამ არ უნდა დაჩრდილოს მიმდინარე სამხედრო სწავლება. პირიქით სამხედრო მომზადება ისევ მისი მუშაობის ცენტრში უნდა იდგეს.

სოფელში მუშაობისათვის მზადება კი უნდა სწარმოებდეს პარალელურად გამლებულ სამხედრო სწავლებასთან.

შვებულო—წითელ არმიელო, გაასკეცებული ძალით განაგრძე საბანაკო სწავლება!

ენერგიულად ხელი მოკიდე სოფელში მუშაობისათვის მზადებას!

## გადამჭრელი შეტაკება ახლოვდება

ინგლისის სამთამადნო მუშების მედგარი ბრძოლა კვლავ გრძელდება.

ბევრი ხერხი სცადა ბალდუინის მთავრობამ, რათა დაემარცხებია გაფიცულები, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ვერც ინგლისის ბურჟუაზიის ერთგულ ლაქიებმა—მაკდონალდ—ტომასებმა და გამცემლურ გენერალურ საბჭომ ვერაფერი მოახერხეს. მაღაროს მუშები შეურყეველი დარჩენ თავის მოთხოვნილებებში.

„არც ერთი ზედმეტი წუთი, არც ერთი ზედმეტი კაპეიკი კაპიტალისტების სასარგებლოთ“—აი მათი ლოზუნგი, რომელსაც ისინი მტკიცედ იცავენ.

როცა ხრიკებმა არ გასჭრა, კონსერვატიულ მთავრობამ პირდაპირ პრაქტიკულ ზომებს მიმართა.

ბალდუინმა შეიმუშავა კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და კიდეც გატარა ის კანონმდებლობითი წესით.

ამრიგად, ინგლისის მთავრობა რომელიც პირველ ხანებში მომრიგებლის როლში გამოდიოდა გაფიცულ მუშებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის, დღეს აშკარად გამოდის ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესების ერთგულ დამცველად და ძალით სურს მოახვიოს მაღაროს პროლეტარიატს რვა საათის სამუშაო დღე.

გაფიცულებმა ან უნდა დაიცვან ინგლისის სახელმწიფოს მიერ დაკანონებული 8 საათის სამუშაო დღე ან უარი სთქვან მასზე. მაგრამ უარის თქმა ეს ხომ ინგლისის სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს, ე. ი. სამოქალაქო ომის დაწყებას უდრის.

ყოველ შემთხვევაში ინგლისის მაღაროს მუშები სრულიად არ ფიქრობენ მის მიღებას. ისინი სასტიკი წინააღმდეგი არიან ამ კანონის. მაგრამ მარტო მათი შეურყევლობა როდია საკმარისი გამარჯვებისათვის. ცხადია კანონის გასატარებლად ბალდუინის მთავრობა მიმართავს სათანადოთ გადამჭრელ ძალდატანებითი ხასიათის ზომებს. და აი აქ გაფიცულ მუშების დასახმარებლად უნდა გამოვიდეს მთელი ინგლისის მუშათა კლასი, მასთან საერთაშორისო პროლეტარიატიც.

მხოლოდ მუშების მთლიანი ფრონტი მისცემს ინგლისის სამთამადნო მუშებს გამარჯვებას.

გადამჭრელი შეტაკება კვლავ მომწიფდა.

ვნახოთ ვის მხარეზე დადგება ის ხალხი, რომლებმაც უმაგალითო ღალატი ჩაიდინეს ინგლისის პროლეტარიატის წინაშე როცა შესწყვიტეს საყოველთაო გაფიცვა.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ გამცემლები კვლავ გამცემლებათ დარჩებიან და ამ გადამჭრელ შეტაკებაში ბურჟუაზიას ამოეფარებიან ზურგში.

ერთად ერთი გამოსავალი კი გაფიცულ მუშებისათვის არის მტკიცე დახმარება და სოლიდარობა ინგლისისა და ყველა ქვეყნის მუშების მხრივ და მათი სიმტკიცე და შეურყევლობა კაპიტალთან ბრძოლაში.

—ე.

# ინგლისის მაღაროს მუშები გადამჭრელ ბრძოლის მოლოდინში

## ფინეთში თანდათან ძლიერდება მუშათა გაფიცვები, ხელფასის მომატების მიზნით

### ამ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირში ჩამოვა გერმანიის მუშების მეორე დელეგაცია

## ბრძოლის ბედი ორკვირაში გადაწყდება.

ინგლისის მთამადნელ მუშების ფედერაციის მდივანმა—კუკმა იმოგზაურა სტაფორდშირისა და ლანკაშირის ქვანახშირის რაიონებში. მთამადნელი მუშები ყველგან ენტუზიაზმით ხვდებოდენ მას.

კენოკში გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში კუკმა განაცხადა: „ბრძოლა გადაწყდება ორ კვირაში. თუ მთამადნელი მუშები მტკიცედ და შეკავშირებულად იქნებიან მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება, მთავრობას დავამარცხებთ“.

უიგენში მუშების 90.000 მიტინგზე კუკმა სთქვა „კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ ვერასოდეს ვერ გატარდება ცხოვრებაში“.

მიტინგმა ერთხმად მოიწონა მთამადნელ მუშათა ფედერაციის აღმასკომის პოლიტიკა.

დონკასტერში გამოსვლის დროს ფედერაციის თავმჯდომარე—სმიტმა მოწოდებით მიმართა იორკშირის მთამადნელ მუშებს, არ შესცვალონ გადაწყვეტილება, როგორი ზომებიც არ უნდა იქნეს მიმართული მათი სიმტკიცის წინააღმდეგ“.

„დე, პასუხისმგებელი პირები თვითვე დარწმუნდენ, რომ 8 საათის სამუშაო დღის კანონის ცხოვრებაში გატარებით, ისინი ნავთს ასხამენ ცეცხლზეო“.

მთამადნელ მუშათა ინტერნაციონალის მდივანი—ხოდჯესმა განაცხადა, რომ ინგლისის მთამადნელ მუშათა გაფიცვა დათავდება გამარჯვებით და მოკლე ხანში, მხოლოდ მაშინ, თუ საერთაშორისო მასშტაბით აღმოუჩენენ დახმარებას ინგლისის მთამადნელებსო.

## გაფიცვები ფინეთში

კემში ხეტყის სახერხი ქარხნის 2.500 მუშა გაიფიცა. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

დაიწყო აგრეთვე შუშის ქარხნების მუშათა გაფიცვები რიხიმიაკში. დატვირთავ მუშების გაფიცვა ისევ გრძელდება.

სულ გაფიცულია ფინეთში ამჟამად 5.000 მუშა. პროფესიონალური ორგანიზაციები დიდ ზომებს მიმართვენ, რომ დახმარება გაუწიონ და უზრუნველყონ გაფიცული მუშები.

## მოითხოვენ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვას

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრთან შექმნილ ექსპერტთა კომისიამ, რომელსაც აქვს უფლება თავისი დასკვნების გამოტანის ფინანსიურ საკითხებში, მოითხოვა, რომ განსაკუთრებული უფლებებით იქნეს აღჭურვილი ფინანსთა მინისტრი მთავრობის სხვა წევრებთან შედარებით, რომ შესაძლებელი გახდეს ქვეყნის ფინანსიური საქმეების მოგვარება.

## გერმანიის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაცია თანდათან ღონიერდება

ტელმანის (გერმ. კომპ. ბელადი) მოხსენების შემდეგ ბერლინ ბრანდენბურგის ორგანიზაციის კონფერენციამ მიიღო ტელმანის მიერ შემოტანილი პოლიტიკური რეზოლიუცია, 115 ხმით—32-ის წინააღმდეგ.

კონფერენციამ გამოაშკარავა, რომ კომპარტიის ბერლინის ორგანიზაცია თანდათან ამჭიდროებს თავის რიგებს და ღონიერდება.

# საბჭოთა კავშირში

## გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია საბჭ. კავშირში

ს. კ. პროფ. კავშირების ცენტრალურ საბჭოს საერთაშორისო შეერთების ბიურომ მიიღო ცნობა, რომ გერმანიის მუშების მეორე დელეგაცია გამოემგზავრება საბჭოთა კავშირში ანტვერპენიდან 25 ივლისს.

## სახელმწიფო თვალყურის დევნა ვენახებიან რაიონებზე

მევენახეობის განვითარების ხელის შეწყობის და ვენახების ფილოქსერისაგან დაცვის მიზნით კავშირის მთელ ტერიტორიაზე, საკავშირო კომისართა საბჭომ დაადგინა, წინადადება მისცეს კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკების მთავრობებს, რომ მოაწყონ ვენახებიან რაიონების მუდმივი სახელმწიფო თვალდევნა და აწარმოონ ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ.

# საქართველოში.

## აჭარისტანი

### მალარიის სადგური ქობულეთში.

ქობულეთში მალარიის საწინააღმდეგო სადგურის ასაშენებლად გაცემული იქნა დამატებით 1.500 მანეთი.

თავის დროზე მიღებული ზომების გამო მალიარიით დაავადების შემთხვევები ქობულეთის რაიონში ძლიერ შემცირებულია.

### კონკურსი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გამოაცხადა მაზრაში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების კონკურსი.

საუკეთესო ამხანაგობას მიეცემა უპროცენტო სესხათ ბანკის მიერ 10.000 მანეთი.

## სამხრეთ ოსეთი

### სტიპენდიები მშრომელ მოსწავლეებს

სამხრეთ ოსეთის განათლების კომისარიატმა გამოიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც სტიპენდიები მიეცემათ პირველ რიგში მუშების შვილებს, გლეხებსა და წითელ არმიელებს, რომლებიც შევლენ პედაგოგიურ, კოოპერატიულ, ტეხნიკურ და სამკურნალო სასწავლებლებში.

სტიპენდიანტები ვალდებული იქნებიან იმდენივე წელიწადი იმუშავონ სამხრეთ ოსეთში კურსების დამთავრების შემდეგ, რამდენი ხნის განმავლობაშიც სარგებლობდენ სტიპენდიებით.

# საბჭოთა კონსტიტუციის დღე.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დამტკიცების დღე დიადი დღესასწაულია ყველა მშრომელებისთვის.

ამ დღეს ჩაეყარა მტკიცე და ურყევი საძირკველი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოსახლე ერების ძმურ კავშირს.

სამუდამოთ გაჰქრა ის დრო, როდესაც ძველ რუსეთში მცხოვრებნი უცხო ეროვნებები იდევნებოდნენ და იჩაგრებოდენ თვითმპყრობელობის მიერ როდესაც ისინი მოკლებულნი იყვნენ საშვალებას მიეღოთ სწავლა განათლება თავის სამშობლო ენაზე.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირის დროშის ქვეშ ყველა ერი თავისუფალია ყველას აქვს თანაბარი უფლება, არ არის დიდი, არ არის პატარა ყველა იღებს მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობის დიად სამუშაოში.

გადავავლოთ თვალი სხვა სახელმწიფოებს.

დედამიწის ზურგზე ვერ ვიხილავთ ვერც ერთი ქვეყანას, სადაც დღეს არ სუფევდეს მონობა, უთანასწორობა, ჩაგვრა პატარა ერების.

„კულტურული" ინგლისი, საფრანგეთი, იტალია სისხლის ზღვაში ახრჩობენ „გაუნათლებელ, ველურ" კოლონიის მცხოვრებლებს.

თვით „ფრიად კულტუროსანი და განათლებული" ამერიკა ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ შავკანიანი ზანგებიც ადამიანები არიან და უნდათ ადამიანური ცხოვრება, დიად, დედამიწის ზურგზე ერთად ერთი სახელმწიფოა საბჭოთა კავშირი, სადაც არ არის ერების ჩაგვრა, სადაც არის დამყარებული სრული უფლებიანობა ერთთა შორის.

ჩვენმა მტრებმა, როგორც გარეთ, ისე შიგნით, კარგათ იციან, რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერია ყველა მოსახლე ეროვნების მუშების და გლეხების კავშირით და სცდილობენ, რომ მათ შორის დათესონ შუღლი.

იგონებენ სხვა და სხვა ჭორებს, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს.

მაგრამ, ამაოა მათი ცდა.

ჩვენ მივდივართ და ვივლით ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის გზით, რომელიც არის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საძირკვლის პირველი ჩამყრელი.

ლენინმა გვიანდერძა:

„საჭიროა სიარული მტკიცე კავშირით ყველა ერთა შორის იმიტომ, რომ ცალ-ცალკე ადვილია დამარცხება და ვერ გაუმკლავდებით მტერს."

გზა, ნაჩვენები ლენინის მიერ, სწორი გზაა.

და ჩვენც მტკიცედ, შეურყევლად ვივლით ამ გზით და კიდევ უფრო გავამტკიცებთ ჩვენს ძმურ კავშირს.

ე. ხუციშვილი.

## სამხიარო! მოიწერე როგორ ემზადებიან შვებული წითელ არმიელები მომავალ მუშაობისათვის სოფლად.

# პარტიაში მიღება-გადარიცხვის საქმეების განხილვის სისტემა, საერთო შეკრების და შეკრებათა შორის დროს.

(პროექტი).

დღემდი პარტიაში კანდიდატათ მიღებისა და წევრად გადარიცხვის საქმეების გარჩევას ვაწარმოებდით უჯრედის კრებებზე და ბ. კოლექტივის სხდომაზე; ამის შემდეგ საქმეები გადადიოდა პარტ-კომისიაში გასარჩევად.

ჩვენ აქ ვტოვებდით შემდეგ ინსტანციას: საერთო შეკრების დროს პარტ-საერთო კოლექტივის კრებებს და შეკრებათა შორის სადელეგატო კრებებზე განხილვას. ეს საკითხი ჩვენს მიერ კარგათ იქნა შესწავლილი, რომელიც დაისვა არმიის პარტ-კომისიის მე-2 პლენუმზე, სადაც ფართედ იქნა გაშუქებული.

პლენუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რათა აღნიშნული ინსტანცია იქმნეს მტკიცედ დაცული და პარტორგანიზაციების მიერ ცხოვრებაში გატარებული.

ამ საკითხის ირგვლივ და საერთოდ პარტიაში მიღება—გადარიცხვის შესახებ საჭიროა ერთგვარი წესის—ანუ სისტემის შემოღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს პარტიის ზრდა ვაწარმოოთ ნორმალურად.

როგორი უნდა იყოს ეს სისტემა?

მე ვფიქრობ, იგი უნდა იყოს შეფარდებული ტერსისტემასთან ეს შეფარდება კი იქმნება შემდეგი: 1) საერთო შეკრება და 2) შეკრებათა შორის.

საერთო შეკრების დროს ყოველ თვეში ერთხელ ხდება ლეგიონის საერთო პარტიული კრება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აუცილებლად უნდა ირჩეოდეს პარტიაში მიღება გადარიცხვის საქმეები, მაგრამ დღევანდლამდის ნაწილების პარტ-ორგანიზაციები გვერდს უხვევდნენ ამ საფეხურს და ზოგიერთი ამხანაგები შეუძლებლადაც სთვლიდნენ ამ კრებაზედ აღნიშნული საქმეების განხილვას.

რაც შეეხება შეკრებათა შორის დროს საერთო პარტიულ კრებაზე საქმეების გარჩევას, აქ უფრო რთულია საკითხი, მაგრამ ჩემის შეხედულებით აქაც შეიძლება საქმის მოგვარება.

აი როგორ.

შეკრებათა შორის მთელ პერიოდში, ე. ი. ვიდრე მოხდებოდეს საერთო შეკრება, ვიწვევთ ერთ სადელეგატო კრებას, სადაც ირჩევა სხვა და სხვა საკითხები; ამ საკითხებთან ერთად აუცილებლად საჭიროა და შესაძლებლადაც მიმაჩნია პარტიაში—მიღება გადარიცხვის საქმეების გარჩევა.

შეიძლება ზოგიერთებმა იფიქროს რომ ეს საფეხურიც ზედმეტია, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით ჩვენ პარტიის ზრდას, უსათუოდ ვიტყვით: საჭიროა სათანადო ინსტანციების გავლა პარტიაში შემომსვლელ პირთათვის და თუ ის ღირსი იქნება ჩვენი პარტიის რიგების მას უარს არც ერთი ინსტანცია არ ეტყვის.

მხოლოდ პარტიისათვის კი საჭიროა მის რიგებში შემსვლელ პირებმა გაიარონ პარტიის ფილტრში, რის შემდეგ დაიტოვებს ნამდვილ შეგნებულ რევოლიუციონურ მუშებს და მშრომელი გლეხებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ს. ტიგიშვილი.

# სამხედრო საქმე ბანაკში.

## რა არის საჭირო შენიღბვის დროს

ადგილმდებარეობასთან მოხერხებულად შეგუება და შენიღბვის მიზნით მისი წესიერად გამოყენება თითეული საზაფხულო სწავლების დროს ერთ უმთავრეს და მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს.

თითეულმა მეომარმა ეხლავე უნდა შეიმუშაოს თავისთვის გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ზაფხულობით ადგილები შეფერილია სხვა და სხვა ფერებით, აჭრელებულია; უმთავრესად კი შესამჩნევია სამი ფერი: მწვანე (ველი, ტყე) შავი (ნახნავი ადგილები, ბოსტნები) და ყვითელი (პურის ყანები) მაშასადამე მიწასთან შეგუება შეიძლება ადვილად და სხვა და სხვა ნაირად.

მეორე მხრივ, საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორი ნიშნებით ხდები შენ ჰაერიდან (ჩრდილი) და დედამიწის ზედაპირიდან წარმოებული თვალთვალისათვის,

მესამე, რაც ყველაზე უმთავრესია: მტკიცედ უნდა გვახსოვდეს თუ როგორ უნდა შევეგუოთ ადგილმდებარეობას: ხელის მაღლები (ხის შტოები, ბალახი) ადგილობრივი საგნები ბუჩქები, ხეები, ხის გადანაჭრები, ორმოები, თხრილები და სხვა) და აგრეთვე: ნიღაბჩაფხუტი, ნიღაბტანსაცმელი და ნიღაბ ხალათი,

მეომარმა, უნდა გვახსოვდეს რომ შენიღბვის საუკეთესო მეგობარია—მოხერხებულობა.

თუ ვიცით ეს უმთავრესი წესები, თითეულ მეომარს შეუძლია ადვილად შეასრულოს შენიღბვის ძირითადი მოთხოვ[...] ნიღბვანი ტაქტიკური სწავლე[...]ბის ყოველგვარ პირობებში დ[...] გამოიმუშავებს თავისთვის ზა[...]ფხულის განმავლობაში გამო[...]ცდილებებსა და მოხერხება[...] რათა ადვილად გამოიყენო[...] სხვა და სხვა პირობებში შენიღბვა.

ამ გამოცდილებათა გამომ[...]შავებას ეწოდება საშენიღბვ[...] დისციპლინა, რომელიც არსე[...]ბითი ნაწილია არა მარტო თი[...]თეული მეომრის საბრძოლ[...] მომზადებისათვის, არამედ მთე[...]ლი ნაწილისთვისაც მთლიანა[...]დებული.

ამნაირად საშენიღბვო სწავ[...]ლებაში, როგორც მეომარის სა[...] მხედრო სწავლების სხვა დარ[...]გებში წითელი ხაზით არის გა[...]ვლებული ცოდნა და დისცი[...]პლინა.

არ უნდა დავივიწყოთ, რო[...] შენიღბვა საჭიროა არა მარტო მოპირდაპირისაგან თავის და[...]ფარვის მიზნით, არამედ იმის[...]თვისაც, რომ შეცდომაში შე[...]ვიყვანოთ ის ყალბი მოქმედებით.

ეს უფრო მნიშვნელოვანი[...] ხშირად, ვინემ პირველი.

ა. გ.

# დღიური და მორიგე—ასეულის თვა[...]ლებია.

1903 წლის წითელ არმიელს ბანაკში ბევრი ახალი ვალდებულებები ემატება, რომლებიც კარგათ უნდა შეითვისოს.

ყველას მოუხდება დღიურობა ან მორიგეობა ასეულში. ეს ვალდებულებები კარგად უნდა იცოდე, ვინაიდან ბანაკში სამსახური განსაკუთრებული ხასიათისაა.

### მორიგეობა.

მორიგე პირველ ყოვლისა თვალყურს ადევნებს სისუფთავის დაცვას ასეულში. ზამთარში, როცა მთელი ასეული ერთ შენობაშია—მაშინ ყველას ხედავ. ბანაკში კი სულ სხვაა, აქ კარვებია, რაც აძნელებს სისუფთავის დაცვისათვის თვალყურის დევნას. მაგრამ სისუფთავე ზაფხულში არა ნაკლებად უნდა იქნეს დაცული, ვიდრე ზამთარში. მთელი დღის განმავლობაში არა ერთხელ უნდა დაათვალიეროს კარვები, შეიხედოს ნარების ქვეშ, კუთხეებში. თუ უსუფთაობას აქვს ადგილი დაუყონებლივ გაწმენდილი უნდა იქნას ის ადგილი. ბევრს უყვარს ფეხსახვევის გაშრობა კარვებზე. წესდების თანახმად ეს სასტიკად აკრძალულია.

ფეხსახვევის გასაშრობათ განსაკუთრებული ადგილი უნდა იყოს მიჩნეული. იარაღის გაწმენდაც აგრეთვე უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებულ ადგილას, ამასაც უნდა თვალყურის დევნა და მორიგემ უნდა დაუშალოს შაშხანის წმენდა არა მითითებულ ადგილას.

ლეგიონის მორიგეს განკარგულებით ასეულის მორიგეს გამოაქვს გარეთ იატაკის ფიცრები გასამზეურებლად და გასაშრობად.

განსაკუთრებით საჭიროა ყურ[...]დღების მიქცევა, რათა კარვებ[...] ახლო მახლო ამ დროს არ დაეხ[...]ტებოდენ უცხო პირები, მაგალ[...]თად: მეძევე ქალები, მრეცხვ[...]ლები, ვაჭრები და სხვა.

როცა განკარგულება იცემა სა[...]რისათვის, (საყვირი) მაშინ მორ[...]გე და დღიური, ბრძანების მი[...]ცემლად სდგებიან ხაზზე, ხოლ[...] ასეულები კი დილის დათვალი[...]რებაზე ან სალამოს გამოძახებაზ[...]

სალამოს გამოძახების შემდ[...] მორიგე იმ წითელ არმიელებ[...]სიით, რომლებიც არ გამოცხა[...]დენ მიდის ნაწილის მორიგესთა[...]

გარდა ამისა მორიგეებს მიყა[...] ასეული საჭმლის მისაღებად.

### დღიურობა.

არსებობს დღიურობის 2 ან[...]ცვლა. ერთი იმყოფება მოწინა[...] ხაზზე, მეორე ასეულის მორიგ[...]სთან, მესამე ისვენებს.

დღიური ხაზზე მოვალეა ხმ[...] გადასცეს მახლობელ დღიური[...]გან მიღებული განკარგულებან[...] თვალ-ყური ადევნოს, რათა [...] იყვნენ გარეშე პირები.

მორიგე და დღიური ასეულ[...] თვალებია. გამოიჩენენ ისინი დ[...] უდევრობას, მყისვე ადგილი ექნ[...]ბა სხვა და სხვა გაუგებრობას, დაიკარგება რამე, ან ბრძანე[...] შეუსრულებელი დარჩება და სხ[...]

დღიურობას და მორიგეობ[...] ბანაკში განსაკუთრებული ყურ[...]დღება უნდა მიექცეს, გარდა ამ[...]სა ყველა წითელ არმიელმა თავ[...] ხუთი თითივით უნდა იცოდეს შ[...]ნა სამსახურის დროებითი წესდ[...]ბის 12 მუხლი.

ძველი წ. არმიელი.

# პარტგანათლების სისტემის შესახებ ტერიტორიალურ ნაწილებში

(ამხ. სხვიტარიძის წერილის გამო).

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე პარტგანათლების სისტემას ჩვენს ნაწილებში არ ქონდა მტკიცეთ ჩამოყალიბებული და გარკვეული მიმდინარეობა, რაც უეჭველათ აიხსნება იმით, რომ თვით ტერმშენებლობაც ერთგვარ შესწავლისა და ჩამოყალიბების პროცესში იყო. დღეიდან კი ჩვენ უნდა მივაღწიოთ გარკვეულ და გეგმიურ სისტემას ამ დარგშიაც. ჩვენ გვყავს აღზრდისა და მომზადების ორი ობიექტი: ძირედი შემადგენლობა და ცვალებადელები. პარტგანათლების წარმოება ძირედ შემადგენლობაში შენდება იმ პრინციპზე რომ ორ წლის განმავლობაში, რომელსაც ისინი ნაწილში იმყოფებიან—მათ მიერ გავლილი უნდა იქმნას ორივე საფეხურის პარტსკოლა. როგორ უნდა მივაღწიოთ ამას? იმისათვის რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ამ მხრივ გათვალისწინებული სისტემა პარტგანათლებისა, მაგალითისათვის ავიღოთ ახალგაზრდობის ერთი კონტიგენტი—მათი ნაწილებში ჩარიცხვიდან სამსახურის დასრულებამდე. მაგალითად: მიმდინარე, ე. ი. 1926 წ. შემოდგომაზე ნაწილებში მოვლენ და ძირედ შემადგენლობაში ჩაირიცხებიან 1904 წ. დაბ. ახალწვეულები. ამავე წლის 1-ლ ნოემბრიდან ვიდრე 1927 წლ. აპრილის ბოლომდე ისინი არ გაიშლებიან სხვა და სხვა ათასეულებისა და ასეულებში, არამედ ამ ექვსი თვის განმავლობაში ყველა ესენი დარჩებიან ლეგიონის შტაბებთან, პირველი საფეხურის სამხედრო ცოდნის მისაღებად და ამასთანავე ამავე ხნის განმავლობაში მათ არავითარი კავშირი არ ექნებათ წვევამდელთან მომზადებასთან და ასეთი ხასიათის კომპანიებთან. ამ რიგათ ამ პერიოდისთვის (პირველი ნოემბრიდან, ვიდრე აპრილის ბოლომდე) ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს 1904 წ. დაბად. ძირედ შემადგენლობისათვის ლეგიონის შტაბებთან დავაარსოთ 1-ლი საფეხურის პარტსკოლები და კიდევაც დავასრულოთ (პროგრამა შეიცავს 24 თემას, რაც ექვსი თვის განმავლობაში, კვირაში თითოჯერ-მეცადინეობით ამოიწურება). 1927 წლ. 15 მაისიდან (ცვალებად ახალწვეულთა შეკრების პერიოდის განმავლობაში) ამათთვის არსდება მეორე საფეხურის პარტსკოლა (ცვალებად ახალწვეულებთან პარტგანათლებამ უნდა იწარმოოს ცალკე, ამისათვის სპეციალურად მოცემული პროგრამის მიხედვით), რომელშიაც 15 აგვისტომდე მოხდება პროგრამის ნახევრის გავლა. 1927 წლ. შემოდგომაზე ძირედ შემადგენლობაში ჩაირიცხებიან 1905 წელში დაბად. ახალწვეულები, რომლებიც პირველი ექვსი თვის განმავლობაში მთლიანათ დარჩებიან რა ლეგიონის შტაბებთან, გაივლიან პირველი საფეხურის პარტსკოლას, ხოლო 1904 წ. დაბად. ძირედი შემადგენლობა ათასეულის წერტებზე—მეორე საფეხურის პარტსკოლების დაარსებით—1927 წლ. ნოემბრიდან ვიდრე 1928 წლ. აპრილის ბოლომდე (ექვსი თვის განმავლობაში) განაგრძობენ პროგრამის დარჩენილ ნაწილის (დაახლოებით 12 საუბრამდე) გავლას—თვეში ორი საუბრის ჩატარებით. მართალია ამ ხნის განმავლობაში ასეულები იშლებიან თავიანთ წერტებზე წვევამდელთა მოსამზადებლად, რაც უეჭველად შეაფერხებს ათასეულის პარტსკოლის მეცადინეობას, მაგრამ მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ნაწილები წერტებზე იმყოფებიან ასეულები ერთი მეორეზე სამი თვით მაინც რჩება ათასეულებთან და ამ სამი თვის განმავლობაშიაც კვირაში ერთი მეცადინეობის ჩატარებითაც ამოვწურავთ დარჩენილ 12 საუბარს.

ამრიგად ათასეულის წერტებზე ჩვენ გვრჩება მეორე საფეხურის პარტსკოლა, სადაც იწარმოებს პროგრამის მეორე ნახევრის გავლა. 1928 წელს, ცვალებად ახალწვეულთა შეკრების პერიოდისათვისა 1904 წ. დაბად. ძირედ შემადგენლობაში პარტგანათლების ორივე საფეხურის სკოლა დასრულებულია და ამ ხანებში მათთან მიმდინარეობს სხვა და სხვა სემინარები—მათი უვადო შვებულებაში წასვლასთან დაკავშირებით, ხოლო 1905 წ. დაბად. ძირედ შემადგენლობისათვის კი ამათ განვლილი აქვთ რა პირველი საფეხურის პარტსკოლა ამ ხანებში იმავე წესით, როგორც 1904 წ. დაბ. კადრისთვის—არსდება მეორე საფეხურის პარტსკოლა და 1928 წლ. 15 მაისიდან ვიდრე 15 აგვისტომდე—გადიან პროგრამის ნახევარს. ამავე წლის შემოდგომაზე 1904 წ. დაბ. დემობილიზაციაში მიდიან და მათ ნაცვლათ ძირედ შემადგენლობაში ირიცხებიან 1906 წ. დაბ. რომლებისათვისაც ზემო აღნიშნული წესითვე არსდება პირველი საფეხურის პარტსკოლა, ხოლო 1905 წ. დაბ. ათასეულის წერტებზე განაგრძობენ მეორე საფეხურის პარტსკოლის პროგრამის დასრულებას და ა. შ. . . ასევე უნდა წარიმართოს კომკავშირის სკოლების მუშაობაც.

ლ. კალანდაძე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# შეცდომის გასწორება.

გაზ. „წითელ არმიელის" კვირის № 132—ში მე[...] გვერდზე მოთავსებული იყო ცნობა მუშურ გლეხურ წით[...] არმიის უფშემადგენლობისათვის ახალი ფორმის შემოღებ[...] შესახებ, სადაც შეცდომით გამოტოვებულია შემდეგი ს[...]სტრიქონი. „სამწყობრო ნაწილების უფშემადგენლობ[...] ახალი ფორმის ტარების ნება, ეძლევათ მხოლოდ სამს[...]ხურის გარეშე."

# კვალებადელთა სწავლება და ცხოვრება

## ნაყოფიერად ვმეცადინეობთ

მე-5 ლეგიონი

ლეგ. 1 ლ ტყვიამფრქვევ[ის] ასეულში ახალწვეულების მეცადინეობა სისტემატიურად და ნაყოფიერად წარმოებს. უფროს[ი] შემადგენლობა მთლად [illegible] ცვალებადელებთან მეცადინეობით. ცვალებადელები ცდილობენ, რომ მცირე დროის განმავლობაში შეისწავლონ ის, რის შესწავლასაც კადრის წითელ ლაშქრელები უნდებიან ორ წელიწადს და უკვე სათანადო შედეგებს მიაღწიეს.

წითელ ლაშქრელების საზოგადოებრივი აზრი სასტიკად ასამართლებს ყველას, ვინც მეცადინეობას გაურბის.

ასეულის მეთაური მიუხედავად იმისა, რომ სხვა აუარებელი საქმეებითაც არის დატვირთული, დიდ ხელმძღვანელობას გვიწევს საგანმანათლებლო მუშაობაში.

ასეთი მეთაურითო,—ამბობენ ცვალებადელები,—ჩვენ არ გაგვიჭირდება მცირე დროს განმავლობაში ბევრის შეთვისება.

გივი.

## ჩვენი ცხოვრებიდან.

მე-6 ლეგ. სამნეო გუნდი.

ჩვენს ასეულში თავშეყრილი არიან სხვა და სხვა ეროვნების ცვალებადელები, რომლებთანაც ერთი შეხედვით უნდა გაძნელებულიყო მეცადინეობა, მაგრამ ეს არ მომხდარა. თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა ამ სიძნელეს და სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელებიც იქნა აღმოჩენილი ყველა ეროვნებათა შემადგენლობისათვის. მთელი ასეული დაყოფილია ჯგუფებად და ისე წარმოებს მათთან მეცადინეობა.

ასეულში წითელ არმიელებს შორის არიან პარტიული და კომკავშირის წევრები, რომლებიც დიდ მონაწილეობას იღებულობენ ასეულის გამშვენიერებაში. მოწყობილია ლენინის კუთხე. ლიტერატურა საკმაოდ მოიპოვება. მოგვდის სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთები. კუთხესთან არსებობს აგრეთვე სხვა და სხვა ბირთვები. თითეული მათგანისათვის გამოყოფილია აქტიური ხელმძღვანელი.

პოლიტბირთვის აქტივი ყოველკვირაობით აკეთებს მოხსენებებს სხვა და სხვა საყურადღებო საკითხების შესახებ. მოხსენებები ყოველთვის დიდი ინტერესით ტარდება,

ერთია მხოლოდ ცოტა სუსტად მიმდინარეობს წერა-კითხვის სუსტად მცოდნე წითელ არმიელებთან მეცადინეობა, რაც საჭიროა გაცხოველდეს. სოფლად გაშვების დროს ჩვენც მოგვიხდება გლეხებში მუშაობის გაჩაღება და თუ ამისთვის საჭირო ცოდნა არ გვექნა, ისე ვერაფერს გავხდებით. ჩვენმა მესვეურებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და მოგვცენ ცოდნის შეძენის საშვალება.

დ. მხეიძე.

## ჩვენი მიღწევები

მე-6 ლეგ. 2 ტყვიამფ. ასეული.

ცვალებადელებთან მეცადინეობა დიდი ინტერესით დაიწყო მათი მოსვლისთანავე. მეთაურების ენერგიულობითა და ცვალებადელების მონდომებით იმდენი რამ გაკეთდა ასეულში, რომ წარმოდგენილიც არ გვქონდა. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდენ და ეკიდებიან ახლაც სამხედრო საქმეს ახლად მოსულები. ტყვიამფრქვევზე მუშაობა მეტის-მეტად ახარებს მათ. ამას წინად ვიყავით სროლის ჩასატარებლად. წითელარმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რადგან კარგა ხანია ესმოდათ სროლაზე გასვლის შესახებ.

დანიშნულ ადგილზე მისვლისა და სროლის ჩატარების შემდეგ ისევ მხიარულად გამოვეშურეთ ნაწილისაკენ.

სროლა დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული 50 პროც. ამნაირად ცვალებადელებთან მუშაობა არ მიდის უნაყოფოთ. ისინი კარგად ითვისებენ ყველაფერს.

ე. ქ რია.

## მალე აღვიჭურვებით სათანადო ცოდნით.

მე 4 ლეგ. 2 ათასეული

ცვალებადელების მუშაობა სამხედრო და პოლიტიკურ დარგში წარმატებით მიმდინარეობს. შედგენილია სამხედრო საქმეში მეცადინეობის ცხრილი, რომლის მიხედვით სწარმოებს ჯგუფების მუშაობა.

მშვენიერი სანახავია ნაწილი, როდესაც ყველა ჯგუფები დაიწყებენ მეცადინეობას. ცვალებადელები იშვიათური გულმოდგინეობით ეკიდებიან საქმეს. აწარმოებენ დიდი ინტერესით სროლას.

კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობასაც დიდი ყურადღება ექცევა.

გამოყოფილი არიან აქტიური ამხანაგები, რომლებიც ყოველ დღე ატარებენ ხმამაღალ კითხვას და საუბრებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო. წერა კითხვის უცოდინარეებთან ენერგიულად მიდის მუშაობა. წითელ არმიელები უზრუნველყოფილი იქნენ ყოველგვარი სასწავლო ნივთებით.

მალე შესაფერი ცოდნით აღვჭურვავს ჩვენი წითელი ყაზარმა და მომზადებულს გაგვისტუმრებს სხვა ფრონტზე სხვაგვარი მუშაობის საწარმოებლად.

გრ. მაჩიტაძე.

# საბანაკო სწავლება წარმატებით მიმდინარეობს.

## როგორ ვმუშაობთ ბანაკში.

მე-3 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში ლენკუთხეები ყველა ასეულშია საკმაო ლიტერატურით, არსებობს სხვა და სხვა წრეები რომლებიც თავისუფალ დროს მეცადინეობაში ატარებენ.

კედლის გაზეთები გამოდის როგორც ასეულის ისე ლეგიონის მაშტაბით. გაზეთში თანამშრომლობენ უმთავრესად წითელ არმიელები, კლუბის მუშიობა ვერ არის დაყენებული თავის დონეზედ, მაგრამ ამის მიზეზია კლუბის შენობის უქონლობა.

სამართველო გადავიდა სამნეო ასეულის ხელში. ეხლა სადილი მთელს ლეგიონში ერთნაირი და უფრო კარგი ხარისხის კეთდება, და მასალაც უფრო ნაკლები იხარჯება სადილის დამზადებაში.

სამხედრო საქმეში უმთავრესი ყურადღება ექცევა ტაქტიკურ მოქმედებასა და სროლის საქმეს- ტაქტიკაში წითელ არმიელებს აჩვევენ ადგილმდებარეობასთან შეხამებას, ბუნებრივსა და ხელოვნურ სანგრების გამოყენებას. ამისათვის ასეულის მაშტაბით ხშირად ეწყობა პატარ-პატარა მანევრები. სროლის საქმეში გავდივართ სხვა და სხვა სახის ვარჯიშის შორს მანძილზე მოულოდნელად გამოჩენილ მტრის მოკლე ხანში დაზიანებას და სხვა. სროლას ვაწარმოებთ როგორც თოფით ისე მძიმე ტყვიამფრქვევით; სროლის დროს მთავარი ყურადღება ექცევა ტყვიამფრქვევის სწრაფ გატენას, დამიზნებასა და წმინდა მისამართისა და სამიზნე რგოლის გამოყენებას. სამხედრო საქმის შეთვისება წითელ არმიელებისგან დამაკმაყოფილებელია.

ნ. კალანდაძე.

## დავიწყეთ შეჯიბრი სროლაში.

მე-2-რე ლეგიონი

ლეგიონის მესამე ათასეულმა უკვე დაიწყო ბანაკში სროლაში შეჯიბრებისათვის ზრუნვა. პირველად გავემგზავრეთ 28 ივნისს ბანაკიდან 7 ვერსის დაცილებით. წითელ არმიელები მხიარულად გაეშურენ დანიშნულ ადგილისკენ. მივაღწიეთ სასროლ ნიშნებამდე.

უფროსების განკარგულების თანახმად მცირე ხნის შესვენების შემდეგ დავიყავით ცალკე ნაწილებათ და დაიწყო სროლა. ყველანი გულმოდგინეთ ეკიდებოდენ. უფროსები ყურადღებით ადევნებდენ თვალყურს სროლის შედეგებს. იძლეოდენ სათანადო განკარგულებებს. სროლებმა კარგი შედეგები მოიტანა—ყველა ნაწილები მწყობრად და წარმატებით აწარმოებდენ მას. მეცადინეობის შემდეგ წითელ არმიელები მხიარულად გამოვეშურეთ კარვებისაკენ, როდესაც სრულიად გამოგვეილია ვახშები. გზაში ლიდხანს დაობდენ თუ ვის ხვდა გამარჯვება, რაიც ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული.

ის. ბაჩულაშვილი.

## ვინახულეთ ა. კ. სასოფ. სამეურნეო გამოფენა.

მე-6 ლეგ. მეთაურთა სკოლა

დიდა ხანია რაც ჩვენი სკოლა ემზადებოდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად. დიდათ ვიყავით დაინტერესებული, რომ გაგვეცნო სხვა და სხვა მანქანები. 27 ივნისს ჩვენც გველირსა გამოფენის ნახვა, სადაც გავემგზავრეთ სკოლის მთელი შემადგენლობა.

ამხანაგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სხვა და სხვა სისტემის ტრაქტორებმა, სალეწმა, პურის საჭრელ და საფარცხავ მანქანებმა. თვალ ნათლივ გვაჩვენეს ყველა მანქანების მუშაობა. წითელ ამიელები ძლიერ კმაყოფილი დარჩენ. ძლიერ მოეწონათ აგრეთვე გერმანული ფირმის „ზეტცის" ღვინის გასაწმენდი და დასამზადებელი სხვა და სხვა იარაღები. გამოფენამ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

მეძველია.

## მოვაწყვეთ დეზერტირის გასამართლება.

მე-3 ლეგიონი

ლეგიონის 1-ლ ასეულში შესდგა დეზერტირ დეზერტირაძის გასამართლება, მას ბრალი ედებოდა დეზერტირობასა და სიმულიანტობაში. მასვე ბრალდებოდა აგრეთვე სახაზინო ქონების გაფლანგვა.

გასამართლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელი ასეულის შემადგენლობაში. წითელ არმიელების მთელმა შემადგენლობამ მიიღო მასში მონაწილეობა.

წითელ არმიელების მიერ გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც სასტიკი გაკიცხვა გამოუცხადეს დეზერტირაძეს ჩადენილი დანაშაულობისათვის და მისცეს წინადადება იყოს მაგალითი სამაგალითო წითელ არმიელებიდან ნაწილში და ისე მოქცეულიყო. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მოწონებული ყველა წითელ არმიელების მიერ.

ბიკაშვილი.

## მეცადინეობა ღამით.

ცხენ. ლეგიონი

ახლოვდება საღამოს ჟამი. დღეს,—ნაშუადღევს მეცადინეობა არ ყოფილა, წ. არმიელები თავისუფალი არიან. ისინი ჯგუფ-ჯგუფათ შეკრებილან და თავიანთ ჭირვარამზე ბაასობენ. ზოგი წითელ კუთხეშია და გაზეთს კითხულობს, ზოგს წიგნი აუღია და ათვალიერებს, ზოგიც წერილსა სწერს მშობლებისათვის და გასაგზავნათ ამზადებს.

— აჰა წაიკითხე თედო დღევანდელი გაზეთი, რა კარგი ახალი ამბებია შიგ—უთხრა ნიკომ თედოს და თან გაზეთიც მიაწოდა. თედომ ჩამოართვა გაზეთი და გადაათვალიერა ის სტრიქონები, რომელზედაც ამხანაგმა მიუთითა.

— ბიჭოს, თფილისში მაუდის ქარხანას აკეთებენ და ათას მუშაზედ მეტი იმუშავებსო, ეს მართლაც და რომ კარგი საქმეა, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ჩვენ რომ სახლშიდ წავალთ არ მიგვიღებენ იქ სამუშაოთ?—ნაღვლიანად შეეკითხა თედო.

— ერიჰაა, შენ როგორც გატყობ ყურს არ უგდებ მეცადინეობას და არც წიგნებს კითხულობ; აბა წაიკითხე ეს პატარა წიგნი და გაიგებ თუ რა შეღავათები აქვს წ. არმიელს. მანდ სამუშაოს შესახებაც სწერია ყველაფერი.

თედომ გაზეთი გვერდზედ გადადო და ხელში კოდექსი აიღო, სადაც წ. არმიელების შეღავათებია ჩამოწერილი, მიუჯდა მაგიდას და დაიწყო კითხვა, თან ყოველ სტრიქონს თითს აყოლებდა, რომ სიტყვები არ გამორჩენოდა და ყველაფერი რიგზედ დაემახსოვრებია.

— ოჰო ეს მართლაც კარგი ყოფილა ჩემო ძმაო, როგორც სამსახურს მოვრჩები სამუშაოთ წავსულვარ ქარხანაში—წამოიძახა თედომ და კიდევ უნდოდა თავის სიტყვებისთვის გაგრძელება მიეცა, რომ ხელი არ შეეშალა ესკადრონის უფროსს, რომელმაც მაღალი ტონით დაიძახა: „დადექით".

წ. არმიელები სწრაფად შეიკრიბენ და ყველანი ორ მწკრივათ დაირაზმენ. ესკადრონის უფროსმა გააცნო წითელ არმიელებს, რომ ამაღამ ღამის მეცადინეობა გვაქვსო და თან დაიწყო ახსნა-განმარტება თუ როგორ უნდა იმოქმედონ წ. არმიელები ღამის მეცადინეობის დროს. ყველანი ცდილობდენ, რომ უფროსის მიერ გადმოცემული სიტყვები დაემახსოვრებიათ.

გამოჩნდა პოლიტხელიც რომელმაც აგვიხსნა თუ ჩვენი მოვალეობის ასრულების დროს როგორ უნდა ვიმოქმედოთ და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება;

— მოუფრთხილდით ნათესებს, დაიკავეთ მჭიდრო კავშირი გლეხებთან, აუხსენით წ. ჯარის მნიშვნელობა, და გააცანით რისთვის იბრძვის და ვის ინტერესებს იცავს წითელი ჯარი—ასეთი სიტყვებით დაათავა თავის საუბარი პოლიტხელმა.

წითელ არმიელებს დაგვირიგეს ათ-ათი ცრუ ვაზნები.

გაისმა ძახილი—ნაბიჯით-იარდა დავიძარით ადგილიდან. გავიარეთ რამოდენიმე ვერსი, რის შემდეგ ესკადრონი გაიყო რამოდენიმე ნაწილათ და დავიწყეთ „მტრის" წინააღმდეგ სხვა და სხვა მიმართულებით მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ მეორე ესკადრონი მოდიოდა ლეგიონის და ყველანი როგორც იქედგან ისე აქედგან ერთიმეორეს ვეჯიბრებოდით და ვცდილობდით ერთი მეორეზედ უკეთესათ გვემოქმედნა.

აგერ მზვერავები, ისე მოიპარებიან რომ მუშტის ოდენა აღარ სჩანან, ცდილობენ არავინ შეამჩნიოს ისინი და ცნობა მიუტანონ მოწინააღმდეგის მოქმედების შესახებ თავის მეთაურს.

გავიშალეთ შარში და სათითაოდ დავიწყეთ გადარბენა. ისე ვეკვროდით მიწას, რომ შეუძლებელი იყო მთვარის სინათლეში ჩვენი შემჩნევა. მაგრამ მოწინააღმდეგეც ასევე ცდილობდა. და ყველა შესავალი გზები დაკეტილი აქვს. ყველგან ყარაული დგას.

ტრახ, ტრახ,—გაისმა მოწინააღმდეგისაგან თოფის ხმა და ჩვენი მზვერავიც გულის ფანცქალით გამოეშურა უფროსთან, რომელსაც მოახსენა:—ამხ. მეთაურო მტერი აღმოვაჩინე ამა და ამ მიმართულებით ამდენი და ამდენი კაცი იქნება, უფროსისაგან კვლავ მივიღეთ განკარგულება და წავიწიეთ წინ, ასტყდა ორივე მხარედგან სროლა, აკაკანდა ტყვიამფრქვევი, გაუშვეს მაშხალები ყოველმხრივ გაცხარებული ბრძოლა დაიწყო. უცდით განკარგულებას უფროსისაგან მოუთმენლათ.

„ესკადრონო წინ, ვაშაა" გაისმა ამ დროს ძახილი უფროსის მიერ.—ვაშაა, ვა-შაა ვაშაა—ასტყდა ყოველი მხრიდგან და ყველანი შეტევაზე გადავედით და ვეკვეთეთ „მტერს".

— ჩვენმა ესკადრონმა უკეთესათ იმოქმედა—წამოიძახა ერთმა წ. არმიელმა.

— თქვენმა კი არა ჩვენმა აჯობა,—მიუგო მოწინააღმდეგე ესკადრონელმა.—არა ჩვენი სჯობდა გაისმა საერთო ხმა ორივე მხრიდგან და კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა თავთავის ესკადრონების ქება, რომ საქმეში უფროსები არ ჩარეოდნენ და არ დაემშვიდებინათ წითელ არმიელები, რის შემდეგ ყველანი დაეწყვენ და სიმღერით გაუდექით გზას სადგომისაკენ.

ზენობნელი.

# ჩვენი ლენინის კარავი.

**ქართ. მეთ. სამხ. სკოლა მე-3-მე ასეული.**

დიდი ხანი არაა, რაც გაიხსნა მესამე ასეულში ლენინის კარავი. დღიდან არჩევისა, გამგეობამ ენერგიული მუშაობა დაიწყო კარავში. მორთული და გალამაზებული იქნა ის ყოველ მხრივად. კარავში გააკრეს ლოზუნგები, პლაკატები, ბელადების სურათები და სხვა მრავალი. დანიშნულ დროზე ტარდება სხვა და სხვა თემებზე საუბრები. გამგეობა ავალებს კურსანტებს ამა თუ იმ საკითხზე საუბრის ჩატარებას. საუბარში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კურსანტები, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ყველაზე.

ლენინის კარვის გამგეობა დიდ მუყაითობას იჩენს ამ საქმეში. ვუსურვებთ კიდევ უფრო გაორკეცებულ მუშაობა ეწარმოებიოს მის საკეთილდღეოთ.

ზ. ა—ლი.

# საჭიროა მუშაობის გამოცოცხლება

**1-ლეგ. საკავშირო გუნდი.**

ხსენებულ გუნდში არის ჩამოყალიბებული რამოდენიმე წრე. მეცადინეობა უნდა მიმდინარეობდეს ყოველ კვირაში ერთხელ, მაგრამ მიუხედავად ამისა ყურადღებას არავინ აქცევს. თვეში ერთხელაც არ ტარდება მეცადინეობა. წითელ არმიელები თითქმის ყველა წრეებში არიან ჩაწერილი და დიდი მოწადინებული არიან მეცადინეობის, მაგრამ არავინ არის პატრონი.

კარგი იქნება მოაგვარებდეს ამ საკითხს ვისიც ჯერ არს და სისტემატიური ხასიათი ექნებოდეს მეცადინეობას, წინაამდეგ შემთხვევაში წითელ არმიელებს გული უცრუვდებათ.

შორაპნელი.

# განმტკიცდა დისციპლინა.

**მე-4-ხე ლეგ. მე-2-რე ათასეული.**

აგერ თვე ნახევარი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენს წითელ ყაზარმაში თავი შეიყარეს ჯერ კიდევ ყაზარმასთან გაუცნობელ ახალგაზრდობამ. მათი მოსვლიდან ათასეულში და ცალკე ასეულებში შეუდგნენ თავიანთი ამოცანების შესრულებას. დისციპლინა დღითი-დღე უფრო და უფრო მტკიცდება. ასე არ იყო პირველ-ხანებში, გამოირჩეოდა ასეულებში რამოდენიმე ამხანაგი, რომლებიც არღვევდენ წესრიგს, როგორც ყაზარმის ფარგლებში ისე ყაზარმის გარედ. ასეთები გამოსწორდენ და უნდა ითქვას, რომ მათი კავშირი ამ ბოლო ხანში ამხანაგებთან გაორკეცდა. ათასეულში მეცადინეობა გაცხოველებული მიმდინარეობს ამ მხრივ ის არ ჩამორჩება სხვა ათასეულებს ნაწილების. ყოველ დღიურად გავდივართ ველზე სამეცადინოთ. ათასეული კვირაში ორი ღამეს გადის ბლუმზე, სადაც მეტად კარგი შედეგების წინაშე დაგვაყენა მუშაობამ.

ვასო.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

**წყალსადენთან სამრეცხველო მოაწყვეს.**

1-ლი ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ მის ყაზარმებში დაბინავდა მეექვსე ლეგიონი. სამწუხაროდ ცვალებადეელი წითელ არმიელები ვერ იცავენ სისუფთავეს. წყალსადენის მილთან მოაქვთ ჭუჭყიანი ტანსაცმელი და საცვლები და იქვე რეცხენ. წყლის მილთან ამის გამო დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. საინტერესოა, რად არ აქცევს ყურადღებას 6 ლეგ. სამნეო ნაწილი ამ გარემოებას?

ა. გ—დი.

## გაგვიუმჯობესეთ სადილი.

ეს რამოდენიმე დღეა, რაც 2-რე საკავშირო ასეულში თანდათან უარესდება სადილები, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. სადილის მკეთებლად დროებით დააყენეს ვიღაც გამოუცდელი წითელ არმიელი, რომელიც ვერ ასრულებს დავალებას. ჩვენი სადილები მარტო მდუღარე წყალს გავს.

წითელ არმიელების უმრავლესობა ვერც კი ჭამენ მას დროა მოაგვარებდენ სადილების საქმეს.

შუქი.

## გაგვინათეთ ყაზარმა.

მეოთხე ლეგიონის სამნეო ასეულის ყაზარმაში არ არის განათება. მთელი ღამეების გატარება გვიხდება ბნელში. არა გვაქვს საშვალება რამე წავიკითხოთ ღამით, თავისუფალი დრო კი მხოლოდ მაშინ გვაქვს. ლეგიონის თავმა დიდი ხანია გასცა სათანადო განკარგულება სინათლის გამოყვანის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის აქამდე არ მოუყვანიათ სისრულეში. სანამდე უნდა ვიყოთ ასე ბნელში? განკარგულებას შესრულება უნდა.

ივრის პირელი.

## მორიგე თავის ადგილზე უნდა იყოს.

ცხენოსანი ლეგიონის სასადილოში ხშირად ბოლომდე არ ესწრებიან მორიგე მეთაურები სადილის დარიგებას. ამით სარგებლობენ როგორც მზარეულები ისე წითელ არმიელები და ხდება აყალ-მაყალი სულ უბრალო და უმნიშვნელო მოვლენის გარშემო. ჩხუბს ხშირათ აქვს ადგილი.

რომ მორიგე მეთაურები ბოლომდე იცდიდენ სასადილოში სადილობის დროს ამას არ ექნებოდა ადგილი. საჭიროა მორიგეები პირნათლად ასრულებდენ თავის მოვალეობას. მაშინ ადგილი არ ექნება უკმაყოფილებას.

ზენობნელი.

## ესეც უყურადღებობის ბრალია.

1-ლი ლეგიონის 1-ლი ათასეულის საპატიმროში ვერ არის დაცული საჭირო და დაწესებული წესები. საპატიმროში არ მოიპოება არც ერთი სკამი. ტუსაღებს ფეხზე უხდებათ დგომა. დილაობით უნდა გაყავდენ ისინი სასეირნოთ ერთი საათით, მაგრამ ეს არავის აგონდება. ამას გარდა საპატიმროში არ მიდის ერთი ცალი გაზეთიც კი.

იმედია ყურადღება მიექცევა ყველა ამას ვისგანაც ჯერ არს.

მოთვალთვალე.

# ბანაკი და ჯანმრთელობა

**რად არ შეიძლება მუდამ „ტრუსიკების“ ტარება.**

ზაფხულში საჭიროა, რომ თითეული ჩვენგანი იღებდეს „მზის ვანებს“. ჩვენს კანში შესული მზის სხივები გვმატებს ძალასა და ჯანმრთელობას. მზის სხივებით დამწვარი სხეული აღძრავს ჩვენში ენერგიის შემატებისა და გამოცოცხლების გრძნობას.

მაგრამ მართალია ისიც, რომ მზის სხივების ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

მზის სხივები სწვავენ ჩვენს კანს.

კანი წითლდება, ხოლო თუ მეტი მოუვიდა კანი იფუთქება და ჩნდება წყლიანი ბუშტები, რომლებიც შემდეგ სკდებიან. ძლიერი დაწვით შეიძლება თლად მოსკდეს კანი და დაიფაროს დაჩირქებული წყლულებით.

ყველაფერი ეს იმას ლაპარაკობს, რომ მზის სხივები ზომიერად უნდა იქნეს გამოყენებული. მზის სხივების ქვეშ ტიტვლად გაწოლისათვის დრო განსაზღვრულია. ჯერ უფრო ცოტა ხნის განმავლობაში ვიცდით მზეში და შემდეგ ყოველ დღე ვადიდებთ დრო ერთსაათამდე. ერთსაათზე მეტი გაჩერება საზიანოა ორგანიზმისათვის.

ამნაირად ბანაკში კარგი ნება ფეხშიშველა ივლი ჩვენი მეომრები (თავისუფ საათებში) მაგრამ მთელი დ განმავლობაში „ტრუსიკები სიარული აუცილებლად მიზ შეუწონელი და მასთან რამ დენიმედ საზიანოც არის.

# უცხოეთის არმიებში

**ჯოხით ტანკის წინაამდეგ**

**მაროკოს ომის გამოცდილებიდან.**

ტანკის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ადვილად შეუძლია შედარებით ჩქარა იმოძრაოს ყოველგვარ ადგილდებარეობაში და ამავე დროს უვნებელი რჩება მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან. თუ ტანკას მოუსპობთ მოძრაობის საშვალებას, მაშინ მისი ტაქტიკური უპირატესობა სხვა სახის შეიარაღებულ ნაწილებთან ისპობა.

ეს გარემოება კარგათ შეიგნეს მაროკოში წარმოებულ ომის დროს რიფებმა.

თითეული ტანკის წინაამდეგ გამოდიოდა 4 სრულიად შეუიარაღებელი რიფი მხოლოდ თითეულ მათგანს ჰქონდა თითო რკინის ჯოხი. ისინი დაიმალებოდენ ბუნებრივ ფარებში, როგორიც არის ვები, ხრამი, და სხვა, ან მო ფარებოდენ დიდ ქვებს და ახლოს მოუშობდენ ტანკ რომ შესაძლებელი ყოფილიყ მასთან უცებ მივარდნა ჯოხ და შეურჭობდენ მას—ტანკ შალგის შიგნით მექანიზმ ტანკაში დაიწყებოდა სხვა სხვა მექანიზმების მსხვრევა ამნაირად გაწყდებოდა შალგ

ტანკაზე თავდასხმის ასე წესი იმდენად სახიფათო შეიქ ფრანგებისათვის, რომ ისი იძულებული შეიქნენ დაეცვ ტანკა ეკლიანი, მავთულ ხლართით. მომავალში კი გ ზრახული აქვთ ტანკების კო ნსტრუქციის ისე შეცვლა, რო შეუძლებელი შეიქნეს მას მსგავსი თავდასხმები.

# პასუხი შეკითხვებზე

— მოსიძეს. ადმინისტრაციას არ აქვს უფლება შვებულება მიმავალ მუშა მოსამსახურეს საშვებულებო ხელფასიდან დაუჭირ ავანსები ან რაიმე სხვა თანხა დამქირავებლის ვალის გასასტუმრ ბლად (ამ.-კავკ. შრომის სახკომატის „მოამბე“ 1925 წ. № 10—1

— ვადაჭკორიას. ავადმყოფობის თუ სხვა რაიმე მიზეზის მო მოცემული შვებულება გეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ.

— ფირცხალავას სეკტემბრიდან. შეგიძლიათ უფროსის ნე რთვით.

— ვ. უ-ას. საკუთრებათ არ ირიცხება.

— ნატროშვილს. ამა წლის შემოდგომაზე.

— ბეუტაშვილს. თქვენი შეკითხვის შესახებ თავის დრო იქნება ბრძანება.

— ბუხრაშვილს. ადგილი გენახებათ. ჯამაგირი არ გეძლევა

— ოგანოვს. დღიური ხარჯები ხაზინიდან არ გეკუთვნით. მართედ სამხკომს.

— უ. წ-ს. მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს და არავის კერძო კუთრებას ის არ შეადგენს. ვინაიდან თქვენ რვა წლის განმავლობ ში ფლობდით მას, ამიტომ თქვენი ცოლის ქმრის ბიძაშვილე არ შეუძლია მისი ჩამორთმევა.

— იმერლიშვილს. შემოდგომაზე ადრე არ გაგანთავისუფლებ დახმარებისათვის თქვენმა ოჯახმა უნდა მიმართოს გლეხკომს.

— გოროზიას. თანახმად ბრძანებისა № 1520 24 წ. შეგიძლ ათ მხოლოდ უფროსის ნებართვით.

— მახარაშვილს. მეთაურებს შეუძლიათ გაგიშვან და არ გიშვან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დროს თხოულობთ მოკლ ვადიან შვებულებას. ეხლა მაგალითად, არ მოგეცემათ.

— აბზიანიძეს. სასამართლოში გამოძახილი მოწმეები დაკმ ყოფილებული უნდა იქნენ სასამართლოს მიერ. (იუსტიციის კომი რიატის ინსტრუქცია № 162—23).

— პოლიტხელს. ლეგიონის ბატარეის პოლიტხელი ეკუთვნ მეხუთე კატეგორიას. (ბრ. № 6671—25 წ.).

— № 5-ს. ლეგიონის ბატარეის პოლიტხელს შეუძლია სა სამკუთხედის ტარება.

# ვის აქვს საწინაამდეგო?

მე-6 ქართულ მსრ. ლეგიონის მე-5 კომუჯრედში შემოტანილ აქვს განცხადება კ. პ. წევრად მიღების შესახებ ამხ. არკადი სე გოსძე მაგრაქველიძეს. (რაჭის მაზრა, სოფელ ბარის მცხოვრებ

გთხოვთ ვისაც გაქვთ რაიმე საწინაამდეგო მის შესახებ, გვ ცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივანი კ. გ ვ ი ჩ ი ა.

---

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილ აქვთ განცხადება შემდეგ კ. პ. კანდიდატებს პარტიაში წევრად მ ღების შესახებ:

1. ივანე ლაზარესძე თოხაძეს (წ. არმ. ოზურგეთის მაზრ სოფელ ვანის მცხოვრები), 2. მიხეილ ივანესძე აჟაქოვს (მწყობრ თავი, სიღნაღის მაზრის გურჯანის რაიონის სოფ. ველის ციხ მცხოვრები).

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინაამდეგო, აღნიშნულ ამხანაგებ მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვ რის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ხე მოუწერელი ქაღალდები არ მიიღება.

კომ—უჯრ. მდივანი ხ ა რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი.

# სამხკორის კუთხე

## წრეებში ჩაკეტვა დაუშვებელია.

როდესაც გვესმის ზოგიერთი სამხკორებისაგან, რომ ზოგიერთ წითელ არმიელების მხრივ მათი მისამართით ადგილი აქვს დაშინებასა და შეურაცყოფას, უნდა დაუფიქრდეთ სერიოზულად: რად აქვს ასეთ მოვლენებს კიდევ ადგილი ჩვენში.

როდესაც წითელ არმიელი ცუდათ დაუწყებს სამხკორს ცქერას სამხკორისაგან მის შესახებ მოთავსებულ კორესპონდენციის გამო—ეს ნიშნავს იმას, რომ წითელ არმიელს არ ესმის, რომ წერილს სარგებლობა მოაქვს მისთვის.

ყველა ეს ხდება იმიტომ, რომ სამხკორთა მუშაობამ ჩვენს ნაწილებში ვერ მიიქცია იმდენად წითელ არმიელების ყურადღება.

სამხკორთა წრეები ასეულებში არ შეიძლება ჩაიკეტონ და განზე იდგენ დანარჩენ წითელ არმიელებისაგან თავისი მუშაობით, წინააღმდეგ შემთხვევაში წითელ არმიელებში ფეხს მოიკიდებს ისეთი წარმოდგენა, თითქოს სამხკორთა ორგანიზაცია იყოს რაღაც განსაკუთრებული და მიუკარებელი ორგანიზაცია.

სამხკორთა წრეებმა თითეული წითელ არმიელისათვის თვალსაჩინოთ უნდა გახადონ თავისი საქმიანობა, შეიყვანონ ისინი თავისი მუშაობის კურსში.

სამხკორთა წრეების მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ღიათ, მასში მიზიდული უნდა იქნეს წითელ არმიელების რაც შეიძლება ფართო მასა. წითელ არმიელების მონაწილეობით უნდა გაირჩეს ყველა საჭირბოროტო საკითხები, გამოაშკარავებული უნდა იქნეს ამ საკითხებზე წითელ არმიელთა საზოგადოებრივი აზრი და გამოირკვეს სამხკორების დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი...

სამხკორთა მუშაობის კურსში შეყვანილი უნდა იქნენ ყველა წითელ არმიელები, რომ იცოდენ მათ თუ როგორია სამხკორთა მუშაობის შინაარსი...

მეორე, რაც კიდევ აუცილებელია გვახსოვდეს, არის სამხკორების საქციელი ყოფა-ცხოვრებასა, სწავლებასა და სამსახურში.

როგორი მადლიერი უნდა ვიყოთ ისეთი სამხკორის, რომელიც სწერს, რომ მის მეზობელს—ამხანაგს შაშხანა სუფთად არა აქვს შენახული და ამავე დროს თვითონ სულ არ აქცევს თავის შაშხანას ყურადღებას?

როგორ უნდა გამოასწოროს ასეთი სამხკორის წერილმა დაუდევარი წითელ არმიელი, როდესაც თვითონ წერილის დამწერი უფრო დაუდევარი იქნება?

ასეთი სამხკორების ასეთი წერილები, მხოლოდ გააღიზიანებს წითელ არმიელებს და გამოიწვევს მათი მხრიდან მუქარას სამხკორებისადმი.

სამხკორმა ნაწილის ყოფაცხოვრების, სწავლების და სამსახურის ისეთი ნაკლულევანებების შესახებ უნდა სწეროს, სადაც ის თვითონვე ითვლება საუკეთესო მეომრად და სხვებისთვის მაგალითის მაჩვენებლად.

სამხკორთა წრეების კარები ფართოდ უნდა გაეღოს წითელ არმიელებს.

მეტი ყურადღება სამხკორებისაგან თავის მუშაობას.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა ქუცნოველის ქ. № 3.

პასუხის მგებელი-რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.